ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6625084

ნომერი: AR1982289

თარიღი : 03.08.2023

გაცემის თარიღი : 21.08.2023

გაცნობის თარიღი : 21.08.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დავარის ქუჩა, N 33;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 03 აგვისტოს №AR1982289 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 08 ნოემბრის №6197945 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 09 აგვისტოს №6605355 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული. კერძოდ, წარმოდგენილ 0.00 ნიშნულის გეგმაზე კვლავ შეცვლილია კიბის უჯრედის გეგმარება. ამავე ±0.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარე შიდა ავტოსადგომებზე კვადრატულობები მითითებულია როგორც დამოუკიდებლად, ასევე, ინდივიდუალური ავტოსადგომების და სავალი ნაწილის ჩათვლით (99.15 კვ.მ და 87.95 კვ.მ.). შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ავტოსადგომებზე დამოუკიდებლად იქნება დატანილი ფართობები, საჭიროა სავალი ნაწილის ფართი დაფიქსირდეს ცალკე (ინიდივიდუალური ავტოსადგომების ფართობების გამოკლებით). ასევე, წარმოდგენილი გეგმების ექსპლიკაციებზე საცხოვრებელი ფართობის ჯამური მაჩვენებლები მითითებულია საზაფხულო ფართობების ჩათვლით. საჭიროა, ექსპლიკაციაზე საცხოვრებელი ფართობის ჯამური მაჩვენებლები მითითებულ იქნას საზაფხულო ფართობების გამოკლებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს მოთხოვნა ავტოსადგომების და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2022 წლის 08 ნოემბრის №6197945 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), გასწორებული ფართობების და ექსპლიკაციების დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 09 აგვისტოს №6605355 ბრძანებას გაეცანით 2023 წლის 11 აგვისტოს და განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2023 წლის 17 აგვისტოს სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2023 წლის 03 აგვისტოს №AR1982289 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.